

E-mail

.....

ავტორიზაცია დამახსოვრება | დაგავიწყდა? | რეგისტრაცია | ხელმოწერა

მეზნა



593 225 225 უფასო განცხადებები გაზეთი "რეზონანსში"

მთავარი | საქართველო | ეკონომიკა/ბიზნესი | საზოგადოება | კულტურა | მედია | უცხოეთი | სპორტი | წერილები | მოსაზრებები | ბლოგები

რედაქციასთან კონტაქტი

მთავარი გვერდის პერსონალიზაცია

საქართველო

ბლოგები

როგორ იხარჯება ომის შემდეგ გამოყოფილი მილიონები



თამაზ კუპრიშვილი (23.10.2009)

ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" მიერ დაარსებულმა კოალიციამ "ქორთიარდ მერიოტში" ომის შემდგომ საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების 1 წლის მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა. კოალიცია "გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის" გასულ წელს, ბრიუსელის დონორთა კონფერენციის შემდეგ შეიქმნა. მისი წევრები არიან ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო", საია, "ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი", "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი", "კვიტას გეორგიკა", "მწვანე ალტერნატივა" და "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო". ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა "ქორთიარდ მერიოტში" გამართულ კონფერენციაზე დეტალურად ისაუბრეს საქართველოსთვის გამოყოფილ თანხებზე, როგორ დახარჯა სახელმწიფომ ეს თანხები ერთი წლის მანძილზე, რა შეცდომები იქნა დაშვებული და ა.შ. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ბრიუსელში შეკრებილმა მსოფლიოს ლიდერებმა ერთხმად გადაწყვიტეს საქართველოსთვის გამოეყოთ 4,55 მილიარდი დოლარი. თანხის 60% არის შეღავათიანი კრედიტი, დანარჩენი 40% კი ჩვენს ქვეყანას გრანტის სახით გადმოეცა. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენლის, ქეთი გუჯარაიძის თქმით, საერთაშორისო დახმარების გამოყოფა საქართველოსთვის ომამდე გაცილებით ადრე გადაწყდა. ქეთი გუჯარაიძე: "საქართველო 3 მილიარდ დოლარამდე დახმარებას იმ შემთხვევაშიც მიიღებდა, თუ ომი არ მოხდებოდა. დონორთა კონფერენციაზე ჩამოთვლილი პროექტების დაფინანსების საკითხებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ომამდე გაცილებით ადრე განიხილავდნენ." მისი თქმით, ომმა, უბრალოდ, დააჩქარა შეთანხმების მიღწევის და თანხის გადმორიცხვის პროცესი. გამომდინარე იქიდან, რომ დახმარების დიდი ნაწილი სახელმწიფოს კრედიტის სახით გადმოეცა, კოალიციამ გადაწყვიტა პროცესისთვის მონიტორინგი გაეწია. ქეთი ხუციშვილი, ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი: "მონიტორინგის განხორციელება თუნდაც იმისთვისაა საჭირო, რომ თანხის დიდი ნაწილი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ვალს, რომელიც შემდგომში საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გადაიხადონ." ქეთი ხუციშვილის თქმით, კოალიციამ მონიტორინგი სხვადასხვა მიმართულებით აწარმოა. მათ შეისწავლეს, თუ რამდენად მიზნობრივად დაიხარჯა ბიუჯეტისთვის გამოყოფილი თანხა. ასევე, გააკეთეს კანონმდებლობის, ჩაჭარბოული ჭინორებისა და შისყიდვების პროცესის ანალიზი. კოალიციამ ასევე თიკალორად შისწავლა

(VIDEO) უცნაური კონცერტი: პიანისტმა დაკიდულ როიალზე დაუკრა შეშლილი, შეშლილი სამყარო (23.05.2013)

ვის ხელშია საქართველო? – 2 ბადრი წიქორაძის ბლოგი (23.05.2013)

(VIDEO) შვედეთის დედაქალაქში, უკვე მესამე დღეა, არეულობა გრძელდება სამეზობლოს ამბები (22.05.2013)

(VIDEO) ადვოკატი: "მერაბიშვილს და ჭიაბერაშვილს ბრალი არაუფლებამოსილმა პირმა წაუყენა" რეზონანსის ბლოგი (22.05.2013)

(VIDEO) ირაკლი ბათიაშვილი: გიგა ბოკერია ეჭვმიტანილია მთელ რიგ დანაშაულებში რეზონანსის ბლოგი (21.05.2013)

(VIDEO) გიორგი ფარესიშვილი ლაშა ნაცვლიშვილის გამოძიებას არ ენდობა და მის დასჯას ითხოვს რეზონანსის ბლოგი (20.05.2013)

ბიჟური

დედნილთა სახლების მშენებლობისთვის დახარჯული თანხების მიზნობრიობა და მიღებული შედეგი. ასევე, მათ თავიანთ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს დონორი ორგანიზაციების გამჭვირვალობის შეფასებას.

მონიტორინგისას აღმოჩენილ დარღვევებსა და რეკომენდაციებზე ასევე ისაუბრა "ღია საზოგადოების" კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ირინა ლაშხმა. მისი თქმით, მუშაობისას ყველაზე დიდი ხელშეწყობა ფინანსთა სამინისტროს მხრიდან იყო. "ჩვენ ჩვენთვის საინტერესო ყველა ინფორმაციას უპრობლემოდ და რაც მთავარია, დროულად ვირებდით ამ სამინისტროდან. იგივეს ვერ ვიტყვით სხვა სამთავრობო უწყებებზე," - აღნიშნა ირინა ლაშხმა.

როგორც მან თქვა, პრობლემები ძირითადად თანხის ხარჯვას და ჩატარებულ ტენდერებს შეეხებოდა. მაგ: ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის მშენებლობის პრეზენტაცია იმ დროს მოხდა, როცა დონორ ორგანიზაციას თანხის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული. ასევე, არ არსებობდა მშენებლობის ნებართვა და გარემოზე ზემოქმედების ანგარიში.

მონიტორინგის შედეგებზე ახალგაზრდა იურისტებმაც ისაუბრეს. ორგანიზაციის წარმომადგენლის, თამარ გურჩიანის თქმით, სახელმწიფომ სამშენებლო ფირმებს სახლების ასაშენებლად ფულთან ერთად, საქონლის ასაშენებლად გათვალისწინებული თანხაც გადაურიცხა. თუმცა, სამშენებლო კომპანიებმა მხოლოდ სახლები ააშენეს და მათთვის პასუხი არავის მოუთხოვია.

კოალიციამ ასევე წარმოადგინა სხვადასხვა პროექტების გარემოზე ზემოქმედების ანგარიში. მათი ინფორმაციით, დედნილების სახლების ასაშენებლად გაცილებით მეტი ხე-ტყე გაიჩეხა, ვიდრე განადგურდა რუსული ბომბდამშენების მიერ გაჩენილი ხანძრის დროს. თან, ეს სამშენებლო მასალა ხანძარსაშიშო ზონაში მოიპოვეს, რაც სამომავლოდ გარემოს კიდევ უფრო დიდ ზიანს მიაყენებს.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მონიტორინგის შედეგების გარდა, საზოგადოებას წარუდგინეს რეკომენდაციები ხელისუფლებისა და დონორი ორგანიზაციებისათვის. მათი თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ საქართველოს ხელისუფლების მიერ შეთავაზებული პროექტების სარგებლიანობაზე. მათ ასევე მთავრობას დახმარების სანაცვლო უნდა წაუყენონ კონკრეტული პოლიტიკური წინაპირობები, მაგ: მედიასაშუალების მფლობელთა შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა, სასამართლო ხელისუფლებაში ჩაურევლობა და ა.შ.

ხელისუფლებამ კი თავის მხრივ, პრიორიტეტები სწორად უნდა გადაანაწილოს. მან მოზიდული ფინანსებით გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი პროექტები უნდა განახორციელოს და რაც ყველაზე მთავარია, ნებისმიერი პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და ღია.

კომენტარები (0)

დატოვე კომენტარი



მოსაზრებები

მაღალჩინოსნების დაკავება იმოქმედებს თუ არა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე?

თიკო ოსმანოვა
(23.05.2013)



პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაკავებამ, შესაძლოა, საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში მოაქციოს. "ვანო მერაბიშვილს ჩემი წარდგენა ქართული საზოგადოებისთვის არ სჭირდება.

როგორ იმოქმედებს მერაბიშვილის დაჭერა "ნაციონალების" მხრიდან მის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელებაზე?

ნინო ნაცვალაძე
(22.05.2013)



"გაკეთდა განცხადება, რომ საქართველომ დაკარგა პრეზიდენტობის კანდიდატი. ეს თავიდან ბოლომდე ადასტურებს, რომ პოლიტიკური პროცესია. თავს ნუ მოვიტყუებთ. ...პოლიტიკური პროცესები გაგრძელდება, კანდიდატებიც იქნებიან. თუ ვინ

იქნება, ამას პოლიტიკური პროცესი განსაზღვრავს, ნამდვილად არ განვსაზღვრავ მე, მითუმეტეს ახლა და მითუმეტეს ცხელ გულზე," - ეს განცხადება პრეზიდენტმა სააკაშვილმა ვანო მერაბიშვილისა და ზურა ჭიაბერაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით გამართულ